Global Schools Program

კურსის მიმოხილვა

ე-10 კლასი

წყარო: Reimers, F. (2017). "მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში". 1-ლი გამოცემა. საგამომცებლო პლატფორმა *Createspace Independent*.

საავტორო უფლება: © 2017 Fernando M. Reimers. ნაშრომის ლიცენზია - Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: https://creativecommons.org/licenses/by/4.0/ ყველა უფლება დაცულია.

შენიშვნა: ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.

მიმოხილვა

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS
17 GOALS TO TRANSFORM OUR WORLD

Global Schools Program

სწავლის მიზანი	
მეათე კლასის სასწავლო გეგმა ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის იდივიდუალურ მოქმედება-მოღვაწეობის განცდაზე. ამ გაკვეთილების განმავლობაში მოსწავლეები ამოიცნობენ თავიანთ ღირებულებებს, გამოარკვევენ, თუ როგორ გამოხატავენ ამ ღირებულებებს საკუთარი ქმედებებით და გამოვლენ თემში, რათა ნახონ, თუ როგორ შეუძლიათ მათ რეალურად არსებული პრობლემების გადაწყვეტაში წვლილის შეტანა.	
გაკვეთილის შაბლონი	
გაკვეთილი 1	ჩემი თავი
გაკვეთილი 2	ჩემი თემი
გაკვეთილი 3	ხმების დაბალანსება გლობალური საკითხების განხილვაში
გაკვეთილი 4	ჩვენი სამყარო
გაკვეთილი 5	კულმინაციური პროექტი
სწავლის მიზნები	
• მოსწავლეები კრიტიკულად იაზროვნებენ იმაზე, თუ როგორ უკავშირდება მათი ღირებულებები მათსავე ქმედებებს, და პრაქტიკაში განამტკიცებენ თავიანთი ღირებულებების წინა პლანზე დაყენებას ჩვეულ სცენარებში. • მოსწავლეები დაკავდებიან თავიანთ თემში რეალურად არსებული პრობლემით, გაესაუბრებიან ხალხს და შეიმუშავებენ ამ პრობლემის გადაჭრის გზას. • მოსწავლეები გაეცნობიან და აითვისებენ ფორმალური წერის სტილს საბოლოო ნაშრომზე მუშაობისას.	

მე-10 კლასი, გაკვეთილი 1

"ჩემი თავი"

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: ხელოვნება
სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა (მიზანი 3); ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16); პარტნიორობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)
შეიმუშავა: Sharon Jiae Lee

შეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები დახატავენ თავიანთ ღირებულებებს და გაუზიარებენ მათ თანაკლასელებს, ასევე ამოიცნობენ სიტუაციებს/ადგილებს/ღონისძიებებს თავიანთ თემსა თუ მთელს მსოფლიოში, სადაც ამ ღირებულებებით ცხოვრობენ და სადაც პირიქით-ისინი აკლიათ. მაგალითად, მოსწავლე შეიძლება ყველაზე მეტად ოჯახის მხარდაჭერას აფასებდეს და დისკუსიის დროს გაიაზროს, რომ ის ადგილები, სადაც ოჯახის მხარდაჭერა ყველაზე მეტად აკლიათ, არის ობოლთა თავშესაფრები. მომდევნო გაკვეთილებზე მოსწავლეები მიუბრუნდებიან თემს, ერს და მსოფლიოს, რომ იპოვონ ამოცნობილი პრობლემების შესაძლო გადაწყვეტა. ოლოს კი შეადგენენ საბოლოო წერილობით მოხსენებას, რომელშიც დაასახელებენ პრობლემებს და შემოთავაზებულ გადაწყვეტის გზებს.

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი თავის უკეთ შეცნობას თავიანთ ღირებულებებზე დაფიქრებითა და განსჯით.
- მოსწავლეები ისწავლიან კონსტრუქციული დისკუსიების გამართვას თანაკლასელების განსხვავებული ღირებულებების შესახებ და ისწავლიან ამ განსხვავებულობის პატივისცემას.
- მოსწავლეები შეძლებენ თავიანთ თემში, ქვეყანასა და/ან მსოფლიოში არსებული პრობლემების/ხარვეზების ამოცნობას, სადაც ეს ღირებულებები არის ნაკლული.

გაცნობიერების მიზნები:

- ადამიანებს აქვთ განსხვავებული ღირებულებები და ყოველდღიურად გადაწყვეტილებების მიღებისას მოქმედებენ მათზე დაყრდნობით.
- განსხვავებულ ღირებულებებს უნდა ვცეთ პატივი და, თუ ზოგი ერთმანეთთან შეუთავსებლად გვეჩვენება, სასურველია გვქონდეს (მოსწავლეებს ჰქონდეთ) ამ თემაზე დიალოგის გამართვის შესაძლებლობა, რათა გავიაზროთ და შემდეგ თავად გადავჭრათ კონფლიქტი.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა არის ღირებულებები?

- რომელია შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები ცხოვრებაში?
- რატომ უნდა გვანაღვლებდეს ღირებულებები?
- ჩვენს თემში, ერსა და/ან მსოფლიოში სად ვხედავთ ან ვერ ვხედავთ, რომ ჩვენი ღირებულებების მიხედვით ცხოვრობენ?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ) / შეფასება:

მიზანი	პირობები	დაკვირვებადი უნარი/ ქცევა	შეფასება
სწავლა იმისა, თუ რა არის ღირებულებები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი	მთელი კლასი	მოსწავლეები გააცნობიერებენ ღირებულებების არსს და მნიშვნელობას.	შეუძლია მოსწავლეს ახსნას, რა არის ღირებულებები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი?
პიროვნულ ღირებულებებზე დაფიქრება და მათი ამოცნობა	ინდივიდუალური სამუშაო	მოსწავლეები ამოიცნობენ მათთვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ერთ ღირებულებას.	შეუძლია მოსწავლეს ამოიცნოს ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება თავის ცხოვრებაში?
თანაკლასელებთან ერთად ჯგუფებში მუშაობა	ჯგუფური სამუშაო	მოსწავლეები გაუზიარებენ კლასს თავიანთ ღირებულებებს, თავადაც მოუსმენენ სხვებს, მისცემენ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს და დასვამენ დამხმარე კითხვებს.	შეუძლია მოსწავლეს ჯგუფში მუშაობა? პატივს სცემს მოსწავლე სხვების განსხვავებულ ღირებულებებს? იძლევა მოსწავლე უკუკავშირს? სვამს ის დამხმარე კითხვებს?
მოსწავლის პიროვნული ღირებულებების დაკავშირება გარე სამყაროსთან	ჯგუფური სამუშაო	მოსწავლეები ამოიცნობენ პრობლემებს თავიანთ თემში/ერში/მსოფლიოში, რომლებიც მათ ღირებულებებს	შეუძლია მოსწავლეს პიროვნულ ღირებულებებსა და თემს/ერს შორის კავშირის დადგენა?

		ეწინააღმდეგება.	

აქტივობების მიმდევრობა:

დრო	აქტივობა	კითხვები
შესავალი (20 წუთი)	თითოეულ მოსწავლეს დაურიგეთ ფურცელი. გაკვეთილი დაიწყეთ მარჯვენა სვეტში მოცემული კითხვების დასმით. რამდენიმე მოსწავლისგან პასუხის მიღების შემდეგ, სთხოვეთ მათ იმსჯელონ თავიანთ ღირებულებებზე და ფურცელზე დახატონ ერთი ღირებულება. მათ უნდა დახატონ მოქმედების ადგილი/ღონისძიება/საგანი, რომელიც წარმოადგენს მათ მიერ არჩეულ ღირებულებას.	რა არის ღირებულებები? რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი?
პრეზენტაცია/ჯგუფური მუშაობა (20 წუთი)	მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად (საკმარისად მცირე ჯგუფებად, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ღირებულებების სხვებისთვის გაზიარება). სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ გამოიცნონ ერთმანეთის ღირებულებები. მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე ჯგუფში გაუზიარებს ერთმანეთს თავის ღირებულებებს, დაუსვით მათ მარჯვენა სვეტში მოცემული კითხვები. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ თითოეული კითხვა განიხილონ ჯგუფებში.	ფიქრობ, რომ ყველას ერთნაირი ღირებულებები აქვს? რატომ? შეიძლება განსხვავებული ღირებულებების ქონა? ყველა ღირებულება ტოლფასოვნად უნდა განვიხილოთ? როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ ზოგი ღირებულება ურთიერთსაწინააღმდეგოა?

ჯგუფური დისკუსია (15 წუთი)	ჰკითხეთ მოსწავლეებს თავიანთ თემში/ერში არსებული ღირებულებების შესახებ. შემდეგ კი დაუსვით მარჯვენა სვეტში მოცემული კითხვები. მოსწავლეებს მიეცით ჯგუფში განხილვის საშუალება.	ჩვენს თემში სად არის და არ არის თქვენი ღირებულებები განხორციელებული? ჩვენს ქვეყანაში სად არის და არ არის თქვენი ღირებულებები განხორციელებული? მსოფლიოში სად არის და არ არის თქვენი ღირებულებები განხორციელებული?
დასრულება (5 წთ)	მოსწავლეებმა სურვილის მიხედვით წარუდგინონ თავიანთი ნახატები და ღირებულებები კლასს. დასვით მარჯვენა სვეტში მოცემული შეკითხვა. წააქეზეთ მოსწავლეები, რომ იყვნენ ცვლილებების ინიციატორები როგორც თავიანთ თემში, ასევე მსოფლიოში.	რა უნდა ვქნათ, როცა მსოფლიოში ვხედავთ პრობლემებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ცხოვრებაში ჩვენთვის მნიშვნელოვანს?

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- შენ და შენი ღირებულებები: http://tiny.cc/G10L1R1
- არჩევანი და ღირებულებები: http://tiny.cc/G10L1R2

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- ირებულებების სწავლების გეგმა: http://tiny.cc/G10L2R3
- აქტივობები ღირებულებების სწავლებისთვის: http://tiny.cc/G10L2R4
- აკვეთილები და აქტივობები პატივისცემის სწავლებისთვის: http://tiny.cc/G10L2R5
- “Character”-ის განათლების სასწავლო გეგმა: https://ca.pbslearningmedia.org/subjects/professional-development/effective-instruction/character-education/
- “Advocates for Youth”-ის გაკვეთილები ღირებულებებზე: http://3rs.org/3rs-curriculum/lessons-by-grade/

ე-10 კლასი, გაკვეთილი 2

“ ემი თემი”

როის ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სოციალური სწავლებები
სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა (მიზანი 3); ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16); პარტნიორობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17).
შეიმუშავა: Quinn Lockwood

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები დაეყრდნობიან პირველ გაკვეთილს, რომლის განმავლობაშიც იფიქრეს თავიანთ ღირებულებებზე და ამოიცნეს მსოფლიოში არსებული ის პრობლემა, რომლის გადაჭრაში წვლილის შეტანაზეც ყველაზე მეტად არიან მოტივირებულნი. მ გაკვეთილზე მოსწავლეები მოემზადებიან თემში გასვლისა და ინდივიდების ან იმ ორგანიზაციის წევრებისგან ინტერვიუების აღებისთვის, რომლებიც მათ მიერ არჩეული პრობლემის გადასაჭრელად იღვწიან. ეს შეიძლება ფართოდ იყოს განმარტებული (მაგალითად, ადგილობრივ თემში შეიძლება არ იყოს ისეთი პიროვნება, ვინც უშუალოდ მოსწავლის მიერ არჩეულ პრობლემაზე მუშაობს).

სასწავლო მიზნები:

- ასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს მათ მიერ არჩეული პრობლემისა და მასზე მომუშავე პიროვნების/ორგანიზაციის შესაბამებაში.
- ასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს თავიანთი ინტერვიუს ოქმის შექმნაში და რწმუნდება, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება, გაივარჯიშონ ინტერვიუერის როლი (გამოკითხულთა როლში იყვნენ თანაკლასელები).
- ასწავლებელს შეუძლია განიხილოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ინტერვიუს ჩაწერა, ინტერვიუსგან მიღებული ინფორმაციის გააზრება და ინტერვიუს ინტეგრირება საბოლოო მოხსენებაში.

აცნობიერების მიზნები:

- დამიანებთან მათს საქმიანობაზე საუბრის მნიშვნელობის გაცნობიერება.
- აგება იმისა, თუ როგორ უნდა შევიმუშაოთ ინტერვიუსთვის შესაბამისი კითხვები.
- აგება იმისა, თუ როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს ხალხის საქმიანობა და ამ საქმიანობის შესაძლო გავლენა სოციალურ პრობლემებზე.
- აცნობიერება იმისა, თუ როგორ შეიძლება ლიტერატურამ ერთდროუალად ზუსტად და არაზუსტად წარმოაჩინოს სოციალური და კულტურული რეალობა.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- ა არის ინტერვიუების აღების მიზანი?
- ომელია საუკეთესო გზა ხალხისთვის ხმის მიწვდენისა და იმის ახსნისთვის, თუ რა თემაზე გსურთ საუბარი?
- ოგორ შეიძლება მოიფიქროთ ისეთი კითხვები, რომლებიც ზუსტად პასუხობს იმას, რისი ცოდნა და გაგებაც გწადიათ თქვენს მიერ არჩეული პრობლემის შესახებ?
- არგად როგორ უნდა გამოვიყენოთ ის ინფორმაცია, რომელსაც ინტერვიუების შემდეგ მივიღებთ?
- ოგორ უზრუნველვყოთ, რომ პატივს ვცემთ სხვების დროს ?
- ა სირთულეებს შეიძლება წააწყდეთ ინტერვიუების დროს?
- ა სტრატეგიების შემუშავება შეიძლება, რომ გადავლახოთ აღნიშნული სირთულეები?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- ნტერვიუსთვის კითხვების შემუშავება.
- ულ მცირე ერთი ინტერვიუს იმიტირება კლასში.
- ნტერვიუს შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება.
- ნტერვიუს კითხვების ჩამოწერა თემის წევრთან ერთად.

ეფასება: მოსწავლეები გაითამაშებენ სრულ ინტერვიუს თანაკლასელებთან ერთად, მათ შორის შეკითხვების ჩამოწერისა და შედეგების მოკლე შეჯამების ნაწილს. ემდეგ მასწავლებელს წარუდგენენ ინტერვიუს ოქმს და კითხვებს, სანამ უშუალოდ გავლენ საზოგადოებაში ინტერვიუების ასაღებად.

ქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ასწავლებლის სამზადისი:** გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა:
  - მოიცნოს თემის პარტნიორები მოსწავლეებთან ინტერვიუს ჩასაწერად იმ საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც წინა მეცადინეობაზე მოსწავლეებმა გამოკვეთეს.
  - აჭიროა მოსწავლეებმა ჩაატარონ მცირე წინასწარი კვლევა არჩეული საკითხის გარშემო, რათა შეძლონ ეფექტური კითხვების ჩამოწერა ინტერვიუსთვის. მოსწავლეებს ამ გაკვეთილამდე გააცანით, თუ ვისგან აიღებენ ინტერვიუს.
  - ოსწავლეებს ამ გაკვეთილისთვის დაავალეთ კვლევის ჩატარება, რომლის დახმარებითაც წარმოდგენა შეექმნებათ, თუ ვინ არის და რას აკეთებს მათი რესპონდენტი.

- **საკითხის გაცნობა (5 წუთი):**
  - ცნობეთ მოსწავლეებს, რომ ინტერვიუსთვის საჭირო უნარ-ჩვევებზე ივარჯიშებენ და მოირგებენ როგორც ინტერვიუს ამღების, ასევევ რესპონდენტის როლს.

- ეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ბოლო გაკვეთილზე მათ განიხილეს ღირებულებების კონცეფცია და თავიანთ ღირებულებებზე დაყრდნობით ამოიცნეს თემში არსებული პრობლემა.
- ცნობეთ მოსწავლეებს, რომ თქვენ (მასწავლებელმა) მოიძიეთ რამდენიმე პოტენციური პარტნიორი, იქნება ეს ორგანიზაცია თუ ერთი პიროვნება, რომლებიც მოსწავლეების მიერ გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად იღვწიან. მოსწავლეებს შეეძლებათ ამ პარტნიორებისგან ინტერვიუების აღება და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება თავიანთ საბოლოო მოხსენებაში. ცნობეთ მოსწავლეებს, რომ მათ შეეძლებათ თანაკლასელებისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა და, ამგვარად, რეალური ინტერვიუებისთვის მომზადება.

- **შესავალი (20 წუთი):** დაიწყეთ მოკლე ინტერვიუს ვარჯიშით. დაყავით მოსწავლეები 4 კაციან ჯგუფებად. დაიწყოს პირველმა წყვილმა, მეორე წყვილმა კი ყურადღებით ადევნოს თვალი. შემდეგ წყვილებმა გაცვალონ როლები. თითოეულ წყვილს დაურიგეთ ინტერვიუს კითხვების ნიმუში (იხ. ქვემოთ "რესურსები მასწავლებლებისთვის") და მიეცით 10 წუთი დრო ინტერვიუს ასაღებად (თითოეული წყვილიდან ყოველ მოსწავლეს ეძლევა 5 წუთი).

- **უკუკავშირი (5 წუთი):** მოსწავლეებს მიეცით საშუალება ჯგუფებში განიხილონ რა გააკეთეს კარგად და რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად. იაწოდეთ მათ დამხმარე შეკითხვები, მაგალითად:
  - ოგორ გრძნობდით თავს შეკითხვების დასმისას?
  - ა სირთულეებს გადააწყდით, როგორც ინტერვიუს ამღები?
  - ა სირთულეებს გადააწყდით, როგორც რესპონდენტი?

- **ნტერვიუს შეკითხვების და ჩანაწერის შექმნა (10 წუთი):** ჩამოარიგეთ მასალა (იხ. ქვემოთ "რესურსები მასწავლებლებისთვის") თანდართული რჩევებით და საუკეთესო პრაქტიკით ინტერვიუს ამღებთათვის. გადაათვალიერეთ დარიგებული მასალა მოსწავლეებთან ერთად და მიეცით მათ საშუალება გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, თუ როგორ გამოიყენებენ ამ პრაქტიკებს ინტერვიუს კითხვების შედგენისას.

- **ნტერვიუს ვარჯიში (10 წუთი):**
  - ითოეულ მოსწავლეს მიეცით თავისი დავალება/პრობლემა და იმ ორგანიზაციის/პიროვნების როლი, ვინც ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად იღვწის.
  - ითოეულ წყვილს მიეცით რამდენიმე სანიმუშო კითხვა და 5 წუთი დრო დამატებითი შეკითხვების დამოუკიდებლად მოსაფიქრებლად.
  - მის შემდეგ ისევ 5 წუთი დრო მიეცით მოსწავლეებს, რომ გაივარჯიშონ შეკითხვების დასმასა და პასუხების გაცემაში.

- **ლასისთვის გაზიარება (10 წუთი):**

- იეცით მოსწავლეებს საშუალება გაუზიარონ თავიანთი კითხვები და მიიღონ უკუკავშირი მასწავლებლისა და თანაკლასელებისგან. დავალებად მოსწავლეებმა უნდა განავრცონ თავიანთი კითხვების სია და რედაქტირება გაუკეთონ კითხვებს მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.
- ოსწავლეები თავად იქნებიან პასუხისმგებელნი პარტნიორ ორგანიზაციასთან/პიროვნებასთან დაკონტაქტებასა და ინტერვიუს დანიშვნის თაობაზე, მასწავლებლის მხრიდან საჭიროებისამებრ დახმარების მიღებით. ცნობეთ მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ სატელეფონო ინტერვიუს ჩაწერაც, თუკი პირადი ინტერვიუს შესაძლებლობა არ არის.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- ოგორ ჩავატაროთ ჟურნალისტური ინტერვიუ: http://tiny.cc/G10L2R1
- ითხვებს მიღმა, ინტერვიუს ხელოვნების შესწავლა: https://learning.blogs.nytimes.com/2010/09/20/beyond-question-learning-the-art-of-the-interview/?_r=1

ე-10 კლასი, გაკვეთილი 3

“ მების დაბალანსება გლობალური საკითხების განხილვაში”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: გეოგრაფია, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა (მიზანი 3); ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); სუფთა წყალი და სანიტარია (მიზანი 6); მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა (მიზანი 9); მდგრადი ქალაქები და დასახლებები (მიზანი 11); სიცოცხლე წყალქვეშ (მიზანი 14); სიცოცხლე ხმელეთზე (მიზანი 15)
შეიმუშავა: Holing Yip

ეჯამება და დასაბუთება: გლობალური მასშტაბის მოვლენების გაანალიზებისას მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამა თუ იმ საკითხის გარშემო არსებული აზრები და ხედვები ძლიერაა დამოკიდებული იმ პერსპექტივაზე, რომლიდანაც საკითხი განიხილება. მ გაკვეთილზე, დიდი კაშხლების აშენების სანიმუშო მაგალითზე დაყრდნობით, მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციას სხვადასხვა დაინტერესებული პირის პერსპექტივიდან და დისკუსიის გზით ისწავლიან დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის თვალსაზრისების გათვალისწინებას.

ასწავლო მიზნები: მოსწავლეები გაივარჯიშებენ მტკიცებულებებზე დაყრდნობილი არგუმენტების შემუშავებაში და გააცნობიერებენ, რომ მოსაზრებათა განსხვავებულობა წარმოდგება დაინტერესებული მხარეების განსხვავებული პერსპექტივებიდან.

აცნობიერების მიზნები:

- ოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული პერსპექტივები წარმოშობენ განსხვავებულ თვალსაზრისებსა და (განსხვავებულ) ლოგიკურ დასკვნებს.
- ოსწავლეები ასევე შეიძენენ მსჯელობაში არგათვალისწინებული ხმების/პერსპექტივების ამოცნობისა და მხედველობაში მიღების უნარს.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ინ არიან ის დაინტერესებული მხარეები, რომელთა თვალსაზრისებიც არის წარმოდგენილი თქვენთვის მოწოდებულ საინფორმაციო პაკეტში? ვის მოსაზრებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა და ვინ წყვეტს ამას?
- ხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა არგუმენტებიც განსხვავებულია, მაგრამ არის თუ არა ისინი ლოგიკური და გამყარებული?
- ისი ინტერესები/პერსპექტივები არ არის გათვალისწინებული?
- ოგორ უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის გარდა სხვა არსებების ინტერესები?
- ოგორ უზრუნველვყოთ, რომ მეტი თვალსაზრისი/ხმა არის მხედველობაში მიღებული?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- ულ მცირე ორი არგუმენტის ექსტრაპოლირება გამამყარებელი მასალით საინფორმაციო პაკეტიდან.
- მთავარი დაინტერესებული მხარეების სწორად ამოცნობა, ვისი მოსაზრებებიც წარმოდგენილია საინფორმაციო პაკეტში.
- ულ მცირე ერთი დაინტერესებული მხარის დასახელება, ვისი ინტერესებიც მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი.
- ულ მცირე ერთი დაინტერესებული მხარის დასახელება, ვისი ინტერესებიც არ არის გათვალისწინებული.

შეფასება:

- რგუმენტების ხარისხი
- რგუმენტების გამამყარებელი მტკიცებულებები
- აინფორმაციო პაკეტიდან ამოცნობილი დაინტერესებული მხარეების რაოდენობა და ტიპი.
- მ დაინტერესებულ მხარეთა სპექტრის სიფართოვე, ვისი ხმებიც/ინტერესებიც არ იყო გათვალისწინებული და მოსწავლეებმა ამოიცნეს ბოლო აქტივობაში.

ქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ასწავლებლის სამზადისი:** გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელი კლასში განსახილველ თემად აირჩევს კაშხლების შენებას. მასწავლებელი თავს მოუყრის ორ საინფორმაციო პაკეტს; პირველ (ა) მათგანში ყურადღება გამახვილებული იქნება მთავრობის მხრიდან კაშხლის აშენების გასამართლებელ არგუმენტებზე და იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტასაც უნდა ემსახურებოდეს კაშხალი. მეორე (ბ) მათგანში კი ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი მცხოვრებლების პერსპექტივას, ვისზეც უშუალო გავლენას იქონიებს კაშხლის აშენება და ვისაც საცხოვრებელი ადგილის დატოვება/იძულებით გადაადგილება მოუწევს.

- **აწილი პირველი (5 წუთი):** გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაიყონ 3-4 კაციან ჯგუფებად. ასწავლებელი ახსნის, რომ გაკვეთილი დაფუძნებული იქნება მოსწავლეების უნარებზე, გაამყარონ თავიანთი არგუმენტები შესაბამისი მტკიცებულებით, და აცნობებს მათ, რომ ქვეყანას გადაწყვეტილი ჰქონდა კაშხლის აშენება, მაგრამ მთავრობის სათავეში მოდის ახალი პირი, ვისაც კაშხლის პროექტის ხელახლა შეფასება სურს.მოსწავლეთა ჯგუფის დავალებაა ურჩიოს მთავრობის ახალ ლიდერს, რა უნდა იყოს მისი შემდეგი ნაბიჯი.
- **აწილი 2 (2 წუთი):** ჯგუფის ნახევარი მიიღებს პირველ (ა) საინფორმაციო პაკეტს , მეორე ნახევარი კი-მეორეს (ბ). მოსწავლეებმა არ იციან, რომ ორი განსხვავებული საინფორმაციო პაკეტია.

- **ნაწილი 3 (13 წუთი):** მოსწავლეები ჯგუფურად მოიფიქრებენ 3 არგუმენტს მთავრობის ხელმძღვანელის რჩევისთვის და გაამყარებენ არგუმენტებს საინფორმაციო პაკეტში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

- **ნაწილი 4 (15 წუთი):** ჯგუფები წარუდგენენ კლასს თავიანთ არგუმენტებსა და შესაბამის მტკიცებულებებს.

- **ნაწილი 5 (5 წუთი):** მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს მთავარ განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რჩევებს შორის. მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს, რომ ჯგუფებს დაურიგდათ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პერსპექტივებით შედგენილი საინფორმაციო პაკეტები.

- **ნაწილი 6 (10 წუთი):** ჯგუფები ერთდებიან და აყალიბებენ უფრო დიდ ჯგუფებს ისე, რომ თითოეულ ჯგუფში არიან მოსწავლეები, რომელთაც წაიკითხეს პირველი (ა) საინფორმაციო პაკეტი, და ისინიც, ვინც წაიკითხა მეორე (ბ) პაკეტი. მოსწავლეები განიხილავენ, თუ რომელი დაინტერესებული მხარის პერსპექტივა იყო წარმოდგენილი თითოეულ საინფორმაციო პაკეტში.

- **ნაწილი 7 (10 წუთი):** მოსწავლეები (ჯგუფებში ან მთელი კლასი) მსჯელობენ, თუ რომელი დაინტერესებული მხარეების ინტერესები არ იყო წარმოდგენილი საინფორმაციო პაკეტში. ასევე განიხილავენ, თავად რომელ მხარესთან აიგივებენ საკუთარ თავს და რატომ.

ესურსები მოსწავლეებისთვის:

- Google Maps და Google Earth კაშხლების დათვალიერებისთვის

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- ინეთის სამი ხეობის კაშხალი: https://archive.internationalrivers.org/the-river-educator%E2%80%99s-toolkit-list-of-resources#ThreeGorges
- The River Educator-ის ნაკრები: https://archive.internationalrivers.org/the-river-educator%E2%80%99s-toolkit
- ანამედროვე ჩინეთი, დებატები კაშხლებზე: https://uosm2018.wordpress.com/2014/03/09/the-three-gorges-dam-debate/
- არჯთ-სარგებლის ანალიზი (ჩინეთის კაშხალი): http://tiny.cc/G10L3R4
- ამი ხეობის კაშხალი, კატასტროფა?: http://tiny.cc/G10L3R5
- თიოპიის კაშხალი გილგელ გიბე III: http://tiny.cc/G10L3R6

- საერთაშორისო მდინარეები, გიბე III: https://www.internationalrivers.org/wp-content/uploads/sites/86/2020/05/gibe3factsheet2011.pdf
- თული არჩევანი: რა არის ჩვენი პოზიცია გიბე III-თან დაკავშირებით: http://tiny.cc/G10L3R8
- რაზილიის ბელო მონტეს კაშხალი: https://archive.internationalrivers.org/sites/default/files/attached-files/belo_monte_factsheet_may2012.pdf
- ასიური კაშხლის პროექტი ურტყამს ამაზონის გულს: https://archive.internationalrivers.org/resources/belo-monte-fact-sheet-2637

მე-10 კლასი, გაკვეთილი 4
"ჩვენი სამყარო"

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სოციალური სწავლებები
სტანდარტები: მდგრადი განვითარების ყველა მიზანი
შეიმუშავა: Eva Flavia Martinez Orbegozo

შეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები დაუკავშირებენ წინა გაკვეთილებზე განხილულ ადგილობრივ პრობლემებს მდგრადი განვითარების მიზნებს..

ასწავლო მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ როგორ უკავშრდება გლობალური პრობლემები ადგილობრივ პრობლემებს და იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მათი ინტერესებისა და მათ შესახებ ცოდნის გამოყენება გადაჭრის გზების შემუშავებისას.

გაცნობიერების მიზნები:

- ადგილობრივი პრობლემები შეიძლება იყოს გლობალური პრობლემების გამოხატულება.
- ადგილობრივი პრობლემის გადაწყვეტის გზებს შეიძლება უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს.
- ინდივიდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ სამყაროს გაუმჯობესებაში გლობალური პრობლემების გაცნობიერებით, მათი ადგილობრივი გამოხატულების ამოცნობისა და შესაძლო გადაწყვეტის გზების შემუშავებაში ჩართულობით..

მნიშვნელოვანი კითხვები:

- როგორ უკავშირდება მოსწავლეების მიერ ამოცნობილი პრობლემები მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზანს?
- თემის წარმომადგენლებთან ინტერვიუს და კვლევების გათვალისწინებით, რომელი გადაწყვეტის გზები შეიძლება იქნას გამოყენებული სხვა კონტექსტებში?
- რომელი შეიძლება განიხილებოდეს გლობალური მასშტაბის გადაწყვეტის გზად?
- რა მიზეზების გამო შეიძლება იყოს ისინი შედეგის მომტანი?
- რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას სხვა კონტექსტებში?
- როგორ იცვლება მოსწავლეების არჩეული პრობლემის გაგება მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცოდნის დაგროვების შემდეგ?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- ადგილობრივი პრობლემების დაკავშირებას მდგრადი განვითარების მიზნებთან და ამ კავშირების დასაბუთებას.
- ლოკალურ და გლობალურ კონტექსტს შორის ნავიგაციას შემუშავებული გადაწყვეტის გზების მსოფლიო მასშტაბისთვის ვალიდურობის შეფასებით.

- ოკალურსა და გლობალურს შორის კავშირის დამყარებას და შესაძლო პორბლემების ამოცნობა გადაწყვეტის გზების მასშტაბურობის შეცვლისას.

შეფასება: ახალი ამბების გადაცემის დაწერა და ჯგუფებში ინსცენირება (თუ შესაძლებელია, ვიდეო ჩანაწერის გაკეთება)

აქტივობების თანმიმდევრობა:

- **ნაწილი 1 (გრძნობა):** ლოკალიზაცია
  - ადგილობრივი პრობლემების წარმატებული გადაწყვეტის გზის მაგალითი:
    - მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს წყლითა და მათეთრებლით სავსე პლასტმასის ბოთლების გამოყენების შესახებ ელექტროობის არმქონე სახლების გასანათებლად.
    - ვიდეოს ბმული: https://www.youtube.com/watch?v=cQCHvO2H0_0.
    - თუ ვიდეოს ჩვენების შესაძლებლობა არ არის, შესაძლებელია ამბის სიტყვიერად გადმოცემა და რამდენიმე სურათის ჩვენება.
  - დისკუსია და განსჯა: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს შემდეგ კითხვებზე დაფიქრებას (ჯერ წყვილებში, შემდეგ ჯგუფში):
    - რა პრობლემების გადაჭრას ემსახურება ზემოაღნიშნული იდეა (მაგ.: ელექტროობის არქონა)?
    - რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზები (მაგ. სიღარიბე)?
    - მასწავლებელს შეუძლია ჩამოწეროს პრობლემები და გამომწვევი მიზეზები, რომლებიც უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს (მაგ. სიღარიბე, ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია, მდგრადი ქალაქები და ა.შ.).

- **ნაწილი 2 (ფიქრი):** მასწავლებელმა უნდა გააცნოს მდგრადი განვითარების მიზნები კონტექსტის გათვალისწინებით.
  - მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ პრობლემებზე, რომელთა შესახებაც გაუგიათ, და ამოიცნონ ის პრობლემები, რომლებიც მათს თემსა და წინ /სესიებს უკავშირდება.
    - მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ კითხვას: როგორ უკავშირდება შენი პრობლემა მდგრადი განვითარების მიზნებს? ამოიცანი ყველა შესაძლო ვარიანტი.
  - მასწავლებელი კედელზე მიაკრავს თითოეული მიზნის სათაურს. მოსწავლეებს ექნებათ პატარა ბარათები, რომლებზედაც ეწერება მათი პრობლემები. მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელ მიზანს მიაკუთვნებენ თავიანთ პრობლემას.
  - მოსწავლეები კლასში დადიან და აკრავენ თავიანთ პრობლემას შესაბამისი მიზნების სათაურის ქვეშ. ამ აქტივობის ბოლო 2 წუთის განმავლობაში მასწავლებელი სთხოვს

რამდენიმე მოსწავლეს ახსნას და დაასაბუთოს, როგორ უკავშირდება მათი პრობლემა შერჩეულ მიზანს.

- მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს კლასს შემდეგი კითხვების განხილვა წყვილებში:
  - რომელი პრობლემა აირჩიე?
  - შეგიძლია აღწერო პრობლემა?
  - ვის ეხება და აზარალებს ეს პრობლემა?
  - საიდან ვიცით ეს?
  - რომელი მიზნები ემსახურება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას? რა გზით?

- **ნაწილი 3 (ქმედება):** ახალი ამბების გადაცემა მდგრადი განვითარების მიზნებისა და ადგილობრივი პრობლემის შესახებ:
  - მზადება: მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ახალი ამბების გადაცემის სცენარი, რომელიც მოიცავს შემდეგ კითხვებს:
    - რომელი პრობლემა აირჩიე?
    - შეგიძლია აღწერო პრობლემა?
    - ვინ ზარალდება ამ პრობლემით?
    - საიდან ვიცით ეს?
    - რომელი მიზნები ემსახურება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას? რა გზით?
  - მოსწავლეებმა უნდა დაწერონ სცენარი ისე, თითქოს ისინი თავიანთი საზოგადოების საინფორმაციო სადგურს აცნობებდნენ (ე.ი, მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ პრობლემისა და მისი გადაწყვეტის გზის შესახებ).
  - მესამე ნაწილი უნდა მოიცავდეს ახალი ამბების ჩაწერას და კლასში ინსცენირებას.

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- მდგრადი განვითარების მზინების ვებ-გვერდი (ან ამობეჭდილი სია)
- წინა გაკვეთილებიდან კლასის ჩანიშვნები (Class notes)
- წინა გაკვეთლებზე მიწოდებული მასალა

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- მდგრადი განვითარების მზინების ვებ-გვერდი

ე-10 კლასი, გაკვეთილი 5
"კულმინაციური პროექტი"

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი თითო გაკვეთილისთვის
თემები: შემოქმედებითი წერა, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: მდგრადი განვითარების ყველა მიზანი
შეიმუშავა: Madhuri Dhariwal

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები თავს მოუყრიან წინა გაკვეთილებზე ჩატარებულ კვლევას, რათა დაწერონ ერთი ნაშრომი მისი გამოქვეყნების მიზნით.

გაცნობიერების მიზნები:
- სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია.
- პატარა ქმედებებს შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეს.
- კვლევის ჩატარება არის არსებითი და მოიცავს ხანგრძლივ პროცესს.

მნიშვნელოვანი კითხვები:
- როგორ ვაერთიანებთ კვლევის სხვადასხვა ნაწილებს?
- რა როლი მიმიძღვის მსოფლიოს პრობლემების გადაწყვეტაში?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):
- თავიანთ ღირებულებებსა და მათ გარშემო არსებულ პრობლემებს შორის კავშირის გაცნობიერებას.
- შემოწმებას, რეალურად არსებობს თუ არა მათს თემში ის პრობლემები, რომლებიც ეგონათ, რომ არსებობდა.
- სხვადასხვა სიდიდის ნაშრომების დაწერას თითოეული გაკვეთილისთვის.
- თავიანთი ნაშრომების შეჯერებას ერთ შეკრულ ნაშრომში.
- თავიანთი ნაშრომების რედაქტირებას.
- კავშირის დამყარებას საკუთარ თავს, უშუალო გარემომცველ არეს, მთელს მსოფლიოსა და მათს როლს შორის გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში.

შეფასება: მოსწავლეები წარადგენენ კარგად გამოკვლეულ და ჩამოყალიბებულ კულმინაციურ პროექტს, რომელიც ასახავს მათს გაგებას სხვადასხვა გლობალური გამოწვევისა და შესაძლო გადაწყვეტის გზებისა. მასწავლებელი ნიშნებს დაწერს თავისი შეხედულებისამებრ.

აქტივობების თანმიმდევრობა:

- **შესავალი (5 წუთი):** აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ დაევალებათ ერთი საბოლოო ნაშრომის დაწერა წინა გაკვეთილების დავალებებზე დაყრდნობით.

- **ნაშრომის სტრუქტურის განხილვა (10 წუთი):** წარადგინეთ ნაშრომის სტრუქტურის მონახაზი:
    - შესავალი და პრობლემის ფორმულირება
    - მეთოდები (სხვადასხვა მეთოდის მიმოხილვა: ინტერვიუები, მეორადი წყაროები, მთავარი განხილული კონცეფციები და ა.შ.)
    - პრობლემის მნიშვნელობა (საიდან ასკვნით, რომ ის პრობლემას წარმოადგენს? რატომ არის ის პრობლემა?)
    - ინტერვიუებიდან აღებული მთავარი იდეები
    - კვლევა პოზიტიურ დევიანტზე
    - მსოფლიოს პრობლემასთან კავშირი
    - შემოთავაზებული გადაწყვეტის გზა(ები)
    - წყაროები
    - დანართები
    - ალტერნატივა: კვლევა შეიძლება წარდგენილ იქნას შემოქმედებითი წერის ნებისმიერ ფორმატში — ამბავი, ლექსი, სურათების დაფა...

- **შეჯერება (30 წუთი):** თავიანთ შესაბამის ჯგუფებში მოსწავლეები დაიწყებენ აქამდე შესრულებული დავალების შეჯერებას. შემდეგ გაინაწილებენ დავალებებს და გაკავეთილის ბოლომდე შეიმუშავებენ უხეშ მონახაზს.

- **პრეზენტაცია (10 წუთი):** თითოეულ ჯგუფს დაეთმობა 1-2 წუთი, რათა წარუდგინონ კლასს თავიანთი პრობლემა და შემოთავაზებული გადაწყვეტა.

- **შემდეგი ნაბიჯები (5 წუთი):** მოსწავლეებს დაევალებათ თავიანთი ნაშრომის დახვეწა და დასრულება სახლში და მონახაზის ჩაბარება მომდევნო კვირისთვის. მასწავლებელი მიმოიხილავს მონახაზებს, დაუბრუნებს მოსწავლეებს უკუკავშირთან ერთად, მოსწავლეები კი გადაამოწმებენ და შემდეგ საბოლოო სახით ჩააბარებენ ნაშრომებს. მასწავლებელს შემდეგ შეუძლია დირექტორთან მოლაპარაკება ან საკუთარი ძალისხმევით მოსწავლეების ნაშრომების გამოქვეყნება ერთ წიგნად. მოსწავლეებსაც შეუძლიათ ჩაერთონ ამ პროცესში.